



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 264

ქალაქი ქუთაისი 25 მაისი 2016 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის N115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე-დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის N115 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება, კერძოდ, საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხას დაემატოს N681 და N687 პუნქტები თანდართული რედაქციით.

/დანართი განკარგულებას თან ერთვის/

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2016 წლის 25 მაისის

№ 264 განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნ უ ს ხ ა

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	სარეგისტრაციო ნომერი
1	2	3	4	5
681	მიწის ნაკვეთი	ნიკეას ქუჩა N58-ის სამხრეთით	38.0	03.05.22.573
682	მიწის ნაკვეთი	ჭავჭავაძის გამზირი N45-ის სამხრეთით	8.0	03.04.30.495
683	მიწის ნაკვეთი	წერეთლის ქუჩა N218-ის დასავლეთით	82.0	03.06.21.390
684	მიწის ნაკვეთი	ნიკეას ქუჩა N19-ის სამხრეთით	1346.0	03.05.22.571
685	მიწის ნაკვეთი	წერეთლის ქუჩა N160	1558.0	03.06.21.171
686	მიწის ნაკვეთი	სულხან-საბას გამზირი N10-ის მიმდებარედ	300.0	03.05.27.008
687	შენობა-ნაგებობა	პ.იაშვილის ქუჩა N9, ნაკვეთი N2	662.0 მიწა 801.24 შენობა	03.03.21.067

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი